- **ჩვენი წყალბურთელები უძლიერესთა შორის.** მე-3 გვ.
- **30 გუნდი იბრძვის თასისათვის** მე-4 გვ.
- **ჯონ გლიუნფელდი: ვარჯიში 7 წლის ასაკიდან.** მე-4 გვ.
- **ფინიში — ზღვაში.** მე-4 გვ.

ახალი ამბები

მთავარი პრიზი — საბჭოთა სპორტსმენებს

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა საერთაშორისო მოტორალი, სადაც თამაშდებოდა მთავარი პრიზი „ვერცხლის თასი“. შეჯიბრების ფინალური ნაწილი, რომელშიც ევროპის 9 ქვეყნის მოტომრბოლელები გამოდიოდნენ, ჩატარდა ქალაქ ადენაუს ახლო ნიურბურგის რკალზე. ეროვნულ ნაკრებთა ჩათვლაში ჩვენმა გუნდმა დააგროვა 145.053 ქულა. მეორე ადგილზეა იტალიის, მესამეზე — საფრანგეთის გუნდები.

ჩვენი ქვეყნის წარგზავნილების წარმატებით დამთავრდა აგრეთვე, საკლუბო გუნდების შეჯიბრება. გაიმარჯვეს ირბიტის ავტომოტოკლუბის სპორტსმენებმა.

მიმდინარე წელს საერთაშორისო მოტორალში პირველად გათამაშდა სსრ კავშირის მოტოსპორტის ფედერაციის მიერ დაწესებული პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის სახელობის პრიზი. იგი მოიგეს იტალიელმა მოტომრბოლელებმა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 134 (2854) ● შაბათი, 10 ივლისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

მსოფლიო პირველობა ფარიკაობაში

27 ქვეყნის 104 დაშნით მებრძოლი გამოდიოდა პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე ფარიკაობაში. შეხვედრები ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა, ახალგაზრდა სპორტსმენები გაბედულად უტევდნენ ტიტულიან მოფარიკავეებს. ამიტომ იყო, რომ დასკვნითი ასპარეზობის მიღმა დარჩნენ გასული წლის ჩემპიონი ავსტრიელი რ. ლოზერტი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი გ. კრისი (სსრ კავშირი). ფინალურ ტურნირში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა მხოლოდ გ. კოსტავა. მისი მეტოქეები იყვნენ ინგლისელი ჰოსკინსი, უნგრელი ნემერე და იტალიელები ბრედა, პაოლიუჩი და ფრანგი ბროდენი. ქართველმა მოფარიკავემ წარუმატებლად დაიწყო ფინალური ტურნირი — წააგო ნემერთან და ბრედთან და მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო შეხვედრებში გამარჯვებები მოიპოვა, 2-მა დამარცხებამ საშუალება არ მისცა მას ჩემპიონის ოქროს მედალი მოეპოვებინა. ჩემპიონი გახდა ნემერი, ვერცხლის მედალი მოიპოვა ჰოსკინსმა. გ. კოსტავა ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

სურათზე: გ. კოსტავა.

გ. კოსტავას — ბრინჯაოს მედალი

ქალებმაც გვასახელეს

პარიზი. კვლავ ცხარე ბრძოლებში მიმდინარეობს მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. დამთავრდა რაპირისტ ქალთა გუნდური პირველობა. საბჭოთა ქალებმა კვლავ გვასახელეს. ჩვენი ქვეყნის გუნდი, რომელშიც შედიოდნენ გ. გოროხოვა, ვ. პრუდსკოვა, ვ. რასტვოროვა, ტ. სამუსენკო და ნ. კონდრატიევა, მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

საინტერესო იყო საბჭოთა მოფარიკავე ქალთა ფინალური ბრძოლა რუმინეთის გუნდთან. მანამდე ჩვენმა მოფარიკავეებმა დაამარცხეს იტალიელები — 9:3, რუმინელებმა (ასეთივე ანგარიშით) — უნგრეთის გუნდი. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — უნგრეთის მოფარიკავეებმა ბრინჯაოს მედლებისთვის შეჯიბრებაც წააგეს (იტალიელებთან — 1:9).

ფინალში პირველი ბრძოლა რუმინელთა წარმატებით აღინიშნა: რასტვოროვამ წააგო საბოსთან. მომდევნო შეხვედრაში წონასწორობა აღდგა — კონდრატიევამ მოუგო იენიჩეკს. შემდეგ ჩვენს გუნდს მომგებიანი ქულები მისცეს კონდრატიევამ, რასტვოროვამ და გოროხოვამ.

„ლოკომოტივის“ დამარცხება

გორკი, 9 ივლისი. გუშინ აქ შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ვოლგამ“ დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი“ — 2:1.

მინსკის „დინამოს“ სტადიონი ამ დღეებში მძლეოსნობის ცენტრად იყო ქცეული: აქ გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა — ძმები ზნამენსკების მემორიალი.

ჩვენი ფოტოსურათები სწორედ მძლეოსანთა ამ პოპულარული შეჯიბრების მომენტებს ასახავენ. ზევით, მარცხენა ფოტოზე წარმოდგენილია გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარი პოლონელი სპორტსმენი ლ. ბოგუშევიჩი, რომელმაც მოიგო მთავარი პრიზი 5000 მეტრზე რბენაში პირველობისთვის. ეს დისტანცია მან 13 წუთსა და 51,4 წამში დაფარა. ზედა მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ 1500 მეტრზე გამარჯვებულ ი. მაის (გდრ). მისი დრო 3 წუთი და 42,3 წამი. და, ბოლოს, ქვედა სურათი: 10.000 მეტრზე რბენა. დისტანციაზე არიან საბჭოთა სპორტსმენები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ს. ბაიდიუკი, რბენაში გამარჯვებული ლ. ივანოვი და პ. ბოლოტნიკოვი.

ფოტო ვ. უნ და-სინისა და პ. ნოვატოროვისა (საკდესი).

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

დების „მწარე ხვედრი“

ლენინგრადის სპეციალური მათემატიკური სკოლის 16 წლის ფრიადოსანი ნატაშა კუჩინსკაია უმაღლეს შეფასებებს იღებს არა მარტო სასკოლო მერხთან, არამედ ტანვარჯიშულ იარაღებზეც. სპორტის ნორჩი ოსტატი ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაშია.

გოგონას სპორტულ წარმატებებში ყველაზე მეტი „დანაშაული“ მიუძღვის მის დედას. როგორც კი სიარული ისწავლა მისმა შვილმა, დედამ იგი ტანვარჯიშულ დარბაზში მიიყვანა. ეკატერინე კუჩინსკაია ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელია მხატვრულ ტანვარჯიშში.

მცირე ხნის წინ ე. კუჩინსკაიას მეორე ქალიშვილმაც — მარინამაც მიიღო „საგზური“ დიდი სპორტისკენ. იგი ლენინგრადის ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის მხატვრულ ტანვარჯიშში, თანაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა ოსტატობის ნორმას.

მაგრამ მარინა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის სანუკვარ ნიშანს მალე ვერ მიიღებს: იგი მხოლოდ 14 წლისაა.

ასეთივე „მწარე ხვედრი“ ერგო წილად 3 წლის წინათ უფროს დასაც, როცა იგი პროფკავშირთა ბავშვთა სპორტული სკოლების საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ იმის გამო, რომ ასაკი ხელს არ უწყობდა, სპორტის ოსტატის წოდება არ მიეკუთვნა.

ა. პერეპელიცა.

ლენინგრადი.



◆ **მოსკოვი, 9 ივლისი.** ევროპის პირველობაში მონაწილეობისთვის, დღეს მოსკოვიდან პრაღას გაფრინდა სსრ კავშირის მაგიდის ნორჩ ჩოგბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაშია ბათუმელი სპორტის ოსტატი სარხოიანი.

◆ „ა“ კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა მორიგი ტურის შედეგები ასეთია: „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „თერგი“ (გროზნო) 5:1, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — 1:0, „სპარტაკი“ (გომელი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — 1:0.

◆ **მოსკოვი, 9 ივლისი.** დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება-დათვალიერება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინისა და საქართველოს გუნდები. გაიმარჯვეს უკრაინელმა ფეხბურთელებმა (2:0), რომლებსაც გადაეცათ საპატიო თასი.

მ. ტალი — ნახევარფინალში

ბლედი, 9 ივლისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი ტალი — პორტიში დამთავრდა საბჭოთა დიდოსტატის გამარჯვებით — 5,5:2,5.

VII პარტიაში ტალმა შავებით ნიმცოვიჩის დაცვა აირჩია და ბრძოლას პოზიციური ხასიათი მისცა. გართულების ძიებაში პორტიშმა პაიკი შეწირა მეტოქეს, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს შეცდომა იყო. ტალმა თანდათან კიდევ უფრო გააძლიერა თავისი პოზიცია და მეორე პაიკიც მოიგო. პარტია გადაიდო ტალისთვის აშკარად მოსაგებ მდგომარეობაში.

VIII პარტიაში ტალი ჩვეული ენერგიით ეცვეთა მეტოქეს და გაიმარჯვა. პარტიის დამთავრებისთანავე პორტიშმა დათმო წინადღით გადადებული პარტია. ამრიგად, საბჭოთა დიდოსტატმა მოაგროვა 5,5 ქულა და მატჩიც დასრულდა: ტალმა მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება.

ივკოვ — ლარსენის მატჩის V პარტიაში ლარსენმა ფიგურის შეწირვით ჭარბი უპირატესობა მიიღო და ივკოვს დიდი ოსტატობა დასჭირდა, რათა პარტია ყაიმით დაემთავრებინა. VII პარტიაში ივკოვი დიდი მონდომებით იბრძოდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ პარტია დაუმთავრებელი დარჩა. სპეციალისტების აზრით, ივკოვს მოსაგები პოზიცია აქვს.

7 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 4:1 (1 პარტია გადადებულია) ლარსენის სასარგებლოდ.

წინ საკავშირო პირველობაა

თბილისში დამთავრდა საქართველოს 1965 წლის პირადი პირველობა კრივში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში 70 მოკრივე იღებდა მონაწილეობას ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და რუსთავის ნორჩი მოკრივეები.

ეს შეჯიბრება იმითაც იყო საინტერესო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც სსრ კავშირის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას, პერსპექტიული სპორტსმენებით დაკომპლექტდა.

კერძოდ, კარგი სპორტული მონაცემები და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს ზ. გუნიამ, ს. ჩიქოვანმა, ვ. მოლდოვანოვმა (სამივენი — თბილისიდან), ა. ბაზალმა (ბათუმი), გ. გიორგაძემ, რ. ბასილაძემ, პ. მუსენკომ (სამივენი — ქუთაისიდან), ა. კოლცამ (ფოთი), ვ. ლუკონინმა (მახარაძე), ე. მაკეევმა (რუსთავი), ზ. ჩიტაიამ (სოხუმი).

მეტად საინტერესოდ ჩატარდა ფინალური შეხვედრა მსუბუქ წონაში ს. ჩიქოვანსა და პ. აზისტოპულოს (სოხუმი) შორის. პირველივე რაუნდში თბილისელმა გამარჯვება მოიპოვა.

ფინალში ქვემძიმე წონის თბილისელმა ვ. მოლდოვანოვმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რ. იუმიკიანი (სოხუმი). მძიმე წონაში ქუთაისელმა ა. აკოფოვმა ორმხრივად მძაფრ შერკინებაში სძლია სოხუმელ ნ. ლატარიას.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. ბაზალი (ბათუმი), პ. მუსენკო (ქუთაისი), გ. შახსუვარიანი (თბილისი), ს. ჩიქოვანი, ზ. გუნია, ს. ხარიბეკოვი (სამივენი—თბილისი), რ. იუმიკიანი (სოხუმი), ვ. ქელეხსაევი, ვ. მოლდოვანოვი (ორივენი — თბილისი), ა. აკოფოვი (ქუთაისი).

ფ. კვირიკაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ფინალური შეხვედრა I საშუალო წონის მოკრივეთა სოხუმელ რ. იუმიკიანსა (მარჯვნივ) და ქუთაისელ მ. გიორგაძეს შორის. გაიმარჯვა პირველმა.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა

რაიონებში [illegible]

✦ თბილისი

გორკის სახელობის კლუბში მოეწყო კვების მუშაკთა პროფკავშირში შემავალი კოლექტივების გუნდური პირველობა ჭადრაკში. ასპარეზობაში ჩაება 11 გუნდი. I ადგილი დაიკავა შამპანური ღვინოების ქარხნის კოლექტივმა, II — ჩაის საწონი ფაბრიკის გუნდმა, III — მაკარონის ფაბრიკის ნაკრებმა.

ი. ხაბეიშვილი.

✦ ზესტაფონი

რაიონის მოჭადრაკეთა ტრადიციულ ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა გ. თურქაძემ, II — ა. ვეფხვაძემ (ორივენი — ფეროშენადნობის ქარხნის ინჟინრები), III — ჯ. მახათაძემ (პურის ქარხნის ტექნოლოგი). ასპარეზობამ გამოავლინა რამდენიმე ნიჭიერი მოჭადრაკე, მათ შორის ყველაზე მეტად ისახელა თავი მოსწავლე ა. შათირიშვილმა, რომელმაც I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ა. განუგრავა.

✦ სამტრედია

დამთავრდა რაიონის პირველობა ფეხბურთში ქუჩის გუნდებს შორის. ტურნირში 20 კოლექტივი მონაწილეობდა. შერჩევით თამაშებში უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს „სიტყვამ“ (კეცხოველის ქუჩა), „თოლიამ“ (ნინოშვილის ქუჩა), „შუქურამ“ (ბარათაშვილის ქუჩა) და „წინსვლამ“ (ლენინის ქუჩა). ფინალში პირველობა წილად ხვდა „შუქურას“.

ჯ. ვაშაკიძე.

• • •

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კალათბურთელთა პირველობაში მონაწილეობა მიიღეს სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ზესტაფონისა და სამტრედიის კვანძების ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა. ადგილები ასე განაწილდა: 1. სამტრედია, 2. სოხუმი, 3. ზესტაფონი, 4. ფოთი, 5. ბათუმი.

ვ. მაისურაძე.

წარსულის ფურცლებიდან

ქართველ ფალავანთა წერილები

სახელგანთქმული ქართველი ფალავანი კულა გლდანელი (ივანე ბეროს ძე ყირიმელი) დიდ ინტერესს იწვევდა არა მარტო სპორტის მოყვარულთა შორის. ბევრ მოჭიდავეს სურდა თავისი ძალ-ღონე და ილეთები გლდანელთან შეჭიდებაში გამოეცადა. იგი საჭიდაოდ გამოუწვევია ორ ფალავანს: ჩიტო კალატოზიშვილსა და მიხეილ ათამაშვილს. მათ თავიანთი სურვილი გლდანელისთვის გაზეთ „დროების“ საშუალებით უცნობებიათ. კალატოზიშვილისა და ათამაშვილისთვის პასუხი გლდანელს ამავე გაზეთის რედაქციისადმი მიწერილი წერილებითვე გაუცია.

ქვემოთ მოგვყავს როგორც კულა გლდანელის, ისე ჩ. კალატოზიშვილისა და მ. ათამაშვილის წერილები, რომლებიც „ლელოს“ რედაქციას მოაწოდა **ვ. სიდამონიძემ.** წერილებში დაინტერესებულ პირთა და სპეციალისტთა საინტერესო მასალებია მოცემული იმდროინდელი ჭიდაობისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ.

1.

ბ. რედაქტორო!

თქვენის გაზეთის მე-90 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი მიხეილ ათამაშვილისა.

მე მაშინ პასუხი არ გავეცი და არც ეხლა გავსცემდი, რომ დარწმუნებით არ შემეტყო, რომ ის წერილი ისე ეკუთვნის იმას, როგორც მე და რომელშიაც ცილისწამებაა ჩემზედ, რომელიც მე ჯერ არაფრით არ დამიმსახურებია. მეც იმ აზრისა ვარ, რომ ძლიერ დიდი უსამართლობაა ფული გადაახდევინო და ნამეტნავად მუშა ხალხს იმის ყურებისათვის, რაც ჩვენში ყოველთვის მუქთი ყოფილა. მე ჩემს დღეში ჭიდაობას ფულის მოსაგებ ხელობად არ გავიხდი და გაშლილ მინდორზე იმდენჯერ მიჭიდავნია, რომ ათამაშვილი ვერც კი დასთვლის, მაგრამ მიჭიდავნია ისეთ ალაგებშიც, სადაც მაყურებელთ ფულს ახდევინებენ. იმისთანა ალაგებში სულ 12-ჯერ მიჭიდავნია და ათჯერ საწყლების სასარგებლოდ და იქიდან ერთი კაპიკიც არ მიმიღია. თუ ამისთანა ჭიდაობას ათამაშვილი „გალერეაში ხტუნვას“ ეძახის, დე, ეგრე იყოს, მაშინ მე კიდევაც მზადა ვარ იმ გალერეაში ვიჭიდავო, ოღონდ ჩემი შნოებით და უნარით საწყლებს და გაჭირვებულთ რამე ერგოთ.

ივანე ყირიმელი (გლდანელი).

შენიშვნა: ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნობები, რომ გლდანელის ჭიდაობით საქველმოქმედო მიზნისათვის ხუთას თუმანზედ მეტი შემოსავალია ჯერ.

რედაქცია.

2.

ბ. რედაქტორო!

თქვენის გაზეთის 129 №-ში იყო ბ-ნი კალატოზიშვილის წერილი, რომლითაც ის მიწვევს თავისთან საჭიდაოდ.

უწინარესყოვლისა არ შემიძლია სინანულით არ გამოვსთქვა, რომ გ. ნ. კალატოზიშვილს ჩემს ჭიდაობაზედ რაღაც მრუდე და უსაფუძვლო აზრი შეუდგენია: მე არასოდეს არ მქონია და არც მექნება ჭიდაობაში მომხრეთა დახმარების იმედი. მე მაქვს იმედი მხოლოდ ჩემი თავისა. აგრეთვე სახეში არც ანგარების მოყვარება მქონია, რადგანაც თითქმის ყოველთვის მიჭიდავნია საქველმოქმედო განზრახვით გაჭირვებულთა დასახმარებლად. ამიტომაც ბ-ნ კალატოზიშვილს სხვადასხვა ხმების და მიმოთქმის გამო არ უნდა შეედგინა ჩემს ჭიდაობაზე აზრი, ისევე, როგორათაც მე არ შემიძლია ვერწმუნო საზოგადო აზრს მასზედ, რომ ჩემი ბ-ნ კალატოზიშვილთან ჭიდაობა თავისდღეში რიგიანად არ დაბოლოვდება, რადგანაც ჩაერევიან იმისთანა წინად დამზადებულნი პირნი, რომელნიც ბ. კალატოზიშვილს გაჭირვების ტალკვესად გამოადგებიან.

ყველა ამის შემდეგ, მე სიხარულით ვეგებები ჭიდაობის ყოველ იმ პირობებს, რომელთაც მოინებებს ბ. კალატოზიშვილი და წინ წამიმძღვარებს; ღრმად დავალებულად ვრაცხ ჩემს თავს მისგან ჩემის გამოთხოვით და რადგან ამას ველირსე, ჩემს ასპარეზს როგორც მოჭიდავისას სრულიად დაჯილდოვებულად ვსთვლი.

ივანე ყირიმელი (გლდანელი).

3.

ბ. რედაქტორო!

ერთი წელიწადი იქნება, თითქმის მას აქეთ, რაც თქვენს გაზეთში ბ. კალატოზიშვილის (ჩიტოს) წერილი იყო დაბეჭდილი, რომლითაც იგი მიწვევდა საჭიდაოდ და ისეთის სიტყვითაც მიწვევდა, რომელიც ჩემთვის ცოტა არ იყოს, სათაკილო იყო... მე მაშინვე შევატყობინე ბ-ნს კალატოზიშვილს თქვენის გაზეთის შემწეობითვე, რომ ჩემთვის დიდად სასახელო იყო მაგგვარი მოჭიდავისაგან გამოთხოვნა საჭიდაოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ თანხმობას ყოველგვარ პირობაზე, რომელსაც კი დამისახელებს ბ-ნი კალატოზიშვილი და რომ ვსთხოვ დამინიშნოს დრო და ადგილი ჭიდაობისათვის, აქამდე მისგან პასუხი არ ისმის იმ საქმის შესახებ, რომელზედაც თვითვე პირველმა დაიწყო ლაპარაკი და მეც იმედი დავკარგე.

26 ამ აპრილისას მე გორში უნდა ვიყო. უკეთუ ბ. კალატოზიშვილი მოისურვებს და თავის სიტყვას არ გადაუდგება, მე ვიმეორებ მოწიწებით მივიღებ მისგან დასახელებულ პირობათა და მით უფრო გულს-მოდგინედ, რომ დარწმუნებული ვარ ის პირობანი დაფუძნებულნი იქნებიან ჩვენებური ჭიდაობის ძველებურ წესებზე. ჭიდაობას საგნად რაც ექნება, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც უფრო დიდს შემწეობას მიიღებენ ამ ჭიდაობიდამ ისინი, ვისაც ეს შემწეობა უფრო უჭირს, მით უფრო სასიხარულო და სასიამოვნო უნდა იყოს მოჭიდავისთვის.

ივანე გლდანელი (ყირიმელი).

4.

ბატონო რედაქტორო!

მე წავიკითხე თქვენს პატივცემულო გაზეთ „დროებაში“ №-88 ჩემდა შესახებ ჭიდაობისა განმეორებითი სურვილი აქვთ გლდანელს და იმის მომხრე ხალხს.

ამისათვის მაქვს პატივი ვაცნობებ შაჰნაზარელი მიხეილ ათამაშვილი, დავეჭიდები გლდანელს და ავღვუსრულებ თავის სურვილს. ამ პირობით, რომ ჩვენის ჭიდაობის დანიშვნის დროს ხალხმა მოსეირემ არ უნდა გაიღონ ფულები და უცქირონ მუქთად ჩვენს უსარგებლო ჭიდაობას. ამისთვის, რადგანაც მე მქონდა სურვილი გამეთავისუფლებია მოჭიდავეთ მოყვარულნი ცუდ-უბრალო ხარჯისაგან.

მხოლოდ თავმომწონე მოჭიდავე გლდანელს, რადგანაც სურს უბრალოდ არ გაუფუჭდეს სახელი, მაშასადამე ეხლა თითონ გამოვიდეს სოფლად შაჰნაზარეთში და იქ მუქთად მიიღებს თავისი სურვილის აღსრულებას. და თუ ჩვეულებისამებრ ისურვებს თავის მომხრე გალერეაში ჭიდაობას, მაშინ აუცილებელია დასდოს ზალოგად ასი თუმანი ნახევარი ღარიბთა სასარგებლოდ და ნახევარი გლდანელის გამლახავთათვის.

მიხეილ ათამაშვილი.

5.

ბ. რედაქტორო!

დიდი ხანია, რაც გლდანელმა თავის ჭიდაობით მიიქცია ყურადღება, როგორც მოჭიდავეებისა, აგრეთვე მაცქერლებისა და მსმენელებისაც. ამ ბოლო დროს კიდევაც მოაწყინა თავი გაბეზრებულ ხალხს. ამგვარმა ხმებმა აღძრეს ჩემში როგორც ძველ მოჭიდავეში, სურვილი მისი ღონისა და ხერხების გამოცდისა. ამიტომ მე, 44 წლის კაცი, გთხოვთ გამოუცხადოთ გლდანელს, რომ მე, ჩიტო კალატოზიშვილს, მსურს მასთან ჭიდაობა შემდეგი პირობით: ჭიდაობის ცქერა ხალხისთვის უფასო იყოს, როგორც ყოფილა ძველ დროს. უკეთუ ისურვებს ფასის აღებას, აღებული ფული მოხმარდეს რომელსამე სასწავლებელს. ადგილი ჭიდაობისა იყოს ან გორი, ან სურამი, რადგანაც თბილისში მისი მომხრენი აჩაგვრინებენ მოწინაამდეგეს.

უკეთუ ამ პირობაზე თანახმა არის, დამინიშნოს ამ მოკლეს დროში დრო ამ გაზეთისვე შემწეობით.

ჩიტო კალატოზიშვილი.

ჩემპიონები გამოვლინდნენ

ჭიათურა (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დამთავრდა საქართველოს პირველობა კალათბურთში. ჩემპიონის წოდება როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელებმა დაისაკუთრეს. ვაჟებმა ფინალში დაამარცხეს თბილისის „სპარტაკის“ კოლექტივი (57:48), ხოლო ქალებმა — თბილისის „დინამოს“ სპორტსმენები (66:54).

ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვაჟები — 1. უნივერსიტეტი, 2. „სპარტაკი“, 3. ქუთაისი; ქალები — 1. უნივერსიტეტი, 2. „დინამო“, 3. აფხაზეთი.

ს უ რ ა თ ზ ე: სამტრედიის 1-ლი სკოლის XI კლასის ფრიადოსანი მოსწავლე დოდო კაპანაძე, რომელმაც მოსწავლეთა XVII რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაისაკუთრა ხუთჭიდელთა ასპარეზობაში, ხოლო პროფკავშირთა სპარტაკიადით გათვალისწინებულ მძლეოსანთა ასპარეზობაში მესამე ადგილი მოიპოვა სიგრძეზე მხტომელთა შორის.

ფოტო ი. იუნაევისა.

დევიზად უნდა იყოს — „მეტი“!

„მთავართბილმშენის“ ფიზკულტურული კოლექტივი 25 ორგანიზაციას (11 — სამშენებლო სამმართველო, 10 — ტრესტ „საქმშენინდუსტრია“ და სხვ.) და 2215 მუშა-მოსამსახურეს აერთიანებს. ეს რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგრამ რამდენად შეესატყვისება მას ის გარემოება, რომ აქ მხოლოდ 6 სპორტული სექცია მოქმედებს? ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციები ვერ დაიტევს სპორტით მეცადინეობის ყველა მსურველს.

განსაკუთრებული სინანულის ღირსია ის გარემოება, რომ კოლექტივში, რომელიც 2 ათასზე მეტ წევრს აერთიანებს, კულტივირებული არ არის ისეთი მასობრივი სახეობანი, როგორიცაა ტურიზმი, ნადირობა, თევზჭერა და ა. შ. სწორედ ეს გარემოება ხდება იმის მიზეზი, რომ თბილისის მშენებელთა დიდი ნაწილი მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ორბიტაში არ არის მოქცეული.

კიდევ ერთი „მაგრამ“... ზემოთაც ითქვა, რომ „მთავართბილმშენის“ ფიზკულტურული კოლექტივის წევრთა რაოდენობა თავისთავად ერთობ შთამბეჭდავია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სისტემის ორგანიზაციებში 7800 მუშა-მოსამსახურეა, ცხადი გახდება, რომ ეს „შთამბეჭდავი“ რიცხვიც (2215) მეტად უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს. 5000-ზე მეტი მშენებელი ფიზკულტურული კოლექტივის, ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე!.. ეს, პირდაპირ და პირუთვნელად რომ ვთქვათ, დიდი დანაშაულია.

სუსტად არის დაყენებული საწარმოო ტანვარჯიშის საქმე. მართალია, ჩვენ დაგვაიმედეს, „აქა-იქ“ ტანვარჯიში ტარდებაო, მაგრამ შემოწმებამ მისი კვალი ვერ აღმოაჩინა (მაგალითად, რკინა-ბეტონის ქარხანაში). თუმცა რა ტანვარჯიშზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ასეთ დიდ კოლექტივს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტიც კი არა ჰყავს და არც კვალიფიციური საზოგადოებრივი კადრები გააჩნია.

მაგრამ „მთავართბილმშენის“ ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობას აქვს სხვა, უფრო კარგი მხარეებიც. გასული წლის მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, აქ წარმატებით ართმევდნენ თავს ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს. კოლექტივის გუნდები მთელ რიგ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ.

სპორტული ბაზების სიმდიდრით „მთავართბილმშენის“ დიდი კოლექტივი ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ აქ მაინც აქვთ საკმაოდ კარგი ბაზები: კომპლექსური მოედანი, ძალოსანთა დარბაზი, რამდენიმე სპორტული მოედანი, რომლებზეც შეიძლება კარგი სპორტული მუშაობის გაშლა. ახლახან კომპლექსურ მოედანთან კარგი სპორტული დარბაზიც აშენდა. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. მშენებლებმა თავიანთვისაც უნდა აიშენონ კარგი სპორტული ბაზები. ეს შეიძლება განხორციელდეს თუნდაც საზოგადოებრივ საწყისებზე. საამისო საშუალება კოლექტივს უხვად აქვს.

ვ. პაპიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ტაქტიკური ვარიანტის შესახებ

ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლის" სპეციალურმა კორესპონდენტმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ ლახონინმა („ფუტბოლი" № 12, 1965 წ.) ანალიზი გაუკეთა „ა" კლასის გუნდების თამაშს, რომლებიც წინასასეზონო მზადებას აწარმოებდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ტექნიკურ წუნს, სხვადასხვა მოქმედებისას დაშვებულ შეცდომებს უფრო მეტად ადგილი აქვს თამაშის დასაწყისში. ლახონინის აზრით, ამ მოვლენის ახსნა არც ისე იოლი საქმეა, მაგრამ მას მაინც მიაჩნია, რომ მიზეზი იმალება იმაში, რომ გოლის გატანის სავაზაფხულო წყურვილი აიძულებს ფეხბურთელებს დაიწყონ მატჩი მაქსიმალური სისწრაფით და მაშინ ბურთით მოქმედება ძნელია. შემდეგ როცა მოთამაშეები იღლებიან, ტემპი ქვეითდება და შეცდომების რაოდენობაც მცირდება...

ჩემი აზრით, საქმე ამნაირად არ გახლავთ. დაღლილობისას, ვ. ლახონინის ნათქვამის საწინააღმდეგოდ, ბურთის ფლობის სიზუსტე კი არ უმჯობესდება, არამედ უარესდება.

შეჯიბრების პირველივე წუთებიდან მაღალი ტემპი რომ განვითარდეს და მოთამაშეებიც ხარისხიანად ფლობდნენ ბურთს, საამისოდ ისინი მომზადებული უნდა იყვნენ. იქნებ, ეს არაა ხეირიანი შედარება, მაგრამ ხომ მანქანასაც არ ძალუძს თავიდანვე აიღოს სრული სისწრაფე. ძრავა ვერ გასწევს!

სწორედ ამიტომაა, რომ სპორტსმენები შეჯიბრების წინ მიმართავენ ე. წ. მოთელვას, რასაკვირველია, ამასვე აკეთებენ ფეხბურთელებიც, მაგრამ ამ მოთელვის შინაარსი აშკარად არაა საკმარისი არც დროის მიხედვით, არც ინტენსიობით, არც გამოყენებული საშუალებებით. მოთელვა ვერ პასუხობს დასახულ ამოცანებს და ორგანიზმის მომზადებაც ვერ აღწევს სათანადო დონეს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თამაშის დასაწყისში ფეხბურთელებს არ შეუძლიათ მთლიანად გამოავლინონ თავიანთი უნარი და ფიზიკური შესაძლებლობანი. არსებითად, მოთელვა ერთხანს თამაშის დროსაც გრძელდება და ფეხბურთელს ჯერ კიდევ ჭირდება „გახურება".

ფეხბურთელთა ასეთი მდგომარეობა ცნობილია. როცა გუნდები იწყებენ თამაშს, ისინი არასრულფასოვნად მოქმედებენ, მოთამაშენი ჯერ არ არიან ყოველმხრივ მზად. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ მებრძოლ გუნდთაგან ერთ-ერთი მოემზადოს უფრო ინტენსიურად, მთლიანად გაითვალისწინოს მომავალი სიძნელეები და მიაღწიოს მოთამაშეთა ისეთ მდგომარეობას, როცა მათი მომზადების დონის ამაღლება საჭირო აღარაა. რა მოხდება? ბუნებრივია, ეს გუნდი შეძლებს დასაწყისიდანვე მთელი ძალით გამოავლინოს თავის მოთამაშეთა შესაძლებლობანი და უნარი. ისინი სრულ მზადყოფნაში აიღებენ სტარტს მაშინ, როცა მათი მეტოქე მხოლოდ დაიწყებს „საქმის კურსში" შესვლას და საკმაოდ ექნება შეცდომებიც.

ასეთ პირობებში წარმატების პერსპექტივა პირველი გუნდის მხარეს იქნება (დასაწყისში, რასაკვირველია) არა მარტო შედარებით თანაბარი სიძლიერის გუნდებს შორის, არამედ, შესაძლოა, უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან შეხვედრის დროსაც, სანამ ეს უკანასკნელი მტკიცედ დადგება ორივე ფეხზე.

შეიძლება მითხრან, რომ ზემონათქვამში ახალი არაფერია, რომ ყველაფერი ეს ცნობილია. მით უკეთესი, თუ ეს ტაქტიკური მანევრი დავიწყებულია, იგი ახლა მოულოდნელი იქნება და ამასთან ერთად — ეფექტურიც. თუ მას როდესმე არ გაუმართლებია, ეტყობა, მწვრთნელი მოქმედებდა უსწოროდ, გვერდს უვლიდა მეცნიერულ მონაცემებს.

წარმოიდგინეთ: მწვრთნელმა თამაშის წინ ფეხბურთელებს დავალება მისცა განევითარებინათ მაქსიმალურად მაღალი ტემპი, დაეთრგუნათ მეტოქენი და მიეღწიათ შედეგისთვის, რის შემდეგ საბოლოო გამარჯვების მოპოვება გაცილებით უფრო იოლი საქმე ხდება. ჩანაფიქრი კარგია, იდეა ერთობ მაცთუნებელი, მაგრამ მისი გადაწყვეტა მხოლოდ დამრიგებლური სიტყვებით ვერ მოხდება. თუ მოთამაშეთა ორგანიზმი მზად არ იყო მაღალი დატვირთვისთვის, ცხადია, იგი ვერ მიაღწევდა მაქსიმალურ მაჩვენებლებს და გადაიქანცებოდა, ზედმეტ ძალვას კი კარგი არაფერი მოსდევს. შეცდომები უფრო მეტი იქნება. ფიზიკურად გადაღლილი მოთამაშე ასეთ დროს მორალურადაც ეცემა და მდგომარეობის გამოსწორება ძალიან ძნელი საქმე ხდება.

პრაქტიკაში არაერთხელ შევხვედრივართ ზოგიერთი მწვრთნელის ასეთ მოქმედებას, იგი საკუთარ თავზეც გამოგვიცდია საკმაოდ მწარედ. ამიტომაა, რომ ზემონახსენებ ტაქტიკურ მანევრს უფრო იშვიათად ვხვდებით.

ე. ი. საჭიროა მოთამაშე შესაბამისად იქნას მომზადებული საამისოდ და სარგებელიც მალე მოვა. ჯერ ერთი,— ეფექტური თამაში დაიწყება თავიდანვე და ნაყოფიერად გამოიყენება სრული 90 წუთი; მეორე,— შეიძლება გუნდმა არც დაისახოს მიზნად გოლის გატანა მატჩის დასაწყისში, მაგრამ მზადყოფნაში აღმოჩნდება, თუ ამგვარი განზრახვა მის მოწინაღმდეგეს ექნება, მესამე, — კარგად მომზადებული გუნდი უფრო ადრე დაიწყებს თამაშს იმ მაღალ დონეზე, რომელსაც საფუძველი შეუქმნა მოთელვის დროს; და, მეოთხეც, — კარგად მომზადებული მოთამაშე დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, გამოსდის თამაში, ექნება საერთო ტონუსი.

შეხვედრის თავში განცდილი შეფერხება ხშირად ცუდ შედეგს იწვევს. თვით გამოცდილი ორატორიც კი, თუ კარგად არ მოემზადა და პირველივე სიტყვებზე წაიფორხილა, შემდეგში იბნევა და აზრს კარგავს. აქ კი სპორტულ ბრძოლასთან გვაქვს საქმე!

როგორ უნდა ვაწარმოოთ მოთელვა? საკმარისი არაა მხოლოდ ის, რომ იგი ინტენსიური იყოს ფიზიკური დატვირთვით. მოთელვა თავისი ტექნიკური და ტაქტიკური საქმიანობითაც უნდა წააგავდეს გეგმით გათვალისწინებულ თამაშს. ფეხბურთელი ყოველმხრივ უნდა განეწყოს მის მიმართ.

ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის კონკრეტული მდგომარეობაა საჭირო. მაგალითად, სეზონის დასაწყისში და ცუდ ამინდში მოთელვას საჭიროა ჰქონდეს უფრო ინტენსიური ხასიათი.

ყველაფერი ეს უნდა გათვალისწინებულ იქნას წმინდა ტაქტიკური თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოს გუნდებს მისგან მნიშვნელოვანი პრაქტიკული სარგებლობის გამოტანა შეუძლიათ.

ა. გალპერინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე.

● „წინსვლა" (წულუკიძე) — „მესხეთი" (ახალციხე) 0:3. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

● „ცისკარი" (ცხაკაია) — „განთიადი" (ბორჯომი) 1:0. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).

ერთადერთი ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ცხაკაიელებს, შესვენების შემდეგ გაიტანა აბუთიძემ.

● „სინათლე" (თბილისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი)— „გურია" (ლანჩხუთი) 1:1. მსაჯი ვ. პეტროვი (რუსთავი).

მიუხედავად გუნდების სხვადასხვა სატურნირო მდგომარეობისა, თამაში უაღრესად დაძაბული იყო. ზესტაფონელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს. პირველ ტაიმში ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა გოლის გატანა. მაგრამ აი, 56-ე წუთზე ლანჩხუთელმა ნ. ნარიაშვილმა გახსნა ანგარიში. მასპინძლები არც ამან შეაკრთო და ისინი მწვავე შეტევაზე გადავიდნენ. ერთ-ერთი იერიშის დროს, როცა მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, ლანჩხუთელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო და ანგარიშიც გათანაბრდა.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1. მსაჯი დ. ვაჩირიძე (თბილისი).

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით, მაგრამ გუნდები შესვენებაზე „მშრალად" წავიდნენ. მეორე ტაიმი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, სადაც მეტი მონდომება გამოიჩინეს ქობულეთელებმა: მათ 2 გოლი გაიტანეს მახარაძელთა კარში, ხოლო საკუთარში მიიღეს მხოლოდ 1.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „დილა" (გორი) 0:2. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

სტუმრებმა მასპინძლებს თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს და მალე ერთ-ერთი შეტევა გოლითაც დააგვირგვინეს. მეორე ნახევარში გორელ ფეხბურთელებს ხელიდან არ გაუშვიათ მოპოვებული ინიციატივა. მათ კიდევ 1 ბურთი გაიტანეს „მაღაროელის" კარში და გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

● „თოლია" (თბილისი) — „შახტიორი" (ტყვარჩელი) 3:1. მსაჯი რ. შახნაზაროვი (თბილისი).

● სკა (თბილისი) — „სამეგრელო" (ზუგდიდი) 3:1. მსაჯი გ. ქაცარავა (თბილისი).

თბილისელმა არმიელებმა ამ მატჩში ძალიან კარგად ითამაშეს.

ქობულეთის „შუქურამ" თავის მინდორზე ითამაშა II ტურში გამოტოვებული მატჩი ახალციხის „მესხეთთან". მე-7 წუთზე სტუმრებმა მასპინძელთა კარში გაიტანეს ბურთი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

სურათზე: ერთ-ერთი მომენტი განვლილი მატჩიდან ქუთაისის „ტორპედოსა" და ტაშკენტის „პახტაკორის" გუნდებს შორის სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ქუთაისელთა ცენტრფორვარდს ჯ. ხაჟალიას სტუმრების კარში მეორე ბურთი გააქვს. ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

გათამაშების ცხრილები
I ქვეჯგუფი
მდგომარეობა 10 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მესხეთი" (ახალციხე)	14	9	2	3	20—10	20
„დილა" (გორი)	14	9	1	4	23—12	19
„გურია" (ლანჩხუთი)	14	7	5	2	20—12	19
„სინათლე" (თბილისი)	14	5	7	2	23—17	17
„თოლია" (თბილისი)	14	5	7	2	22—16	17
„შუქურა" (ქობულეთი)	13	6	5	2	23—18	17
სკა (თბილისი)	14	4	8	2	27—16	16
„ცისკარი" (ცხაკაია)	14	4	6	4	17—16	16
„წინსვლა" (წულუკიძე)	15	5	4	6	18—30	14
„მეშახტე" (ტყვარჩელი)	14	5	3	6	12—17	13
„განთიადი" (ბორჯომი)	14	4	4	6	15—19	12
„სამეგრელო" (ზუგდიდი)	15	3	6	6	12—22	12
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	14	3	5	6	11—14	11
„მაღაროელი" (ჭიათურა)	14	4	3	7	17—21	11
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	14	2	6	6	11—15	10
„მერცხალი" (მახარაძე)	14	3	3	8	15—20	9
„ბახმარო" (ჩოხატაური)	14	1	7	6	11—21	9

მეორე ქვეჯგუფი
I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბახტრიონი" (ახმეტა)	7	5	1	1	14—6	11
„ისანი" (თბილისი)	8	3	3	2	17—10	9
„ნადიკვარი" (თელავი)	7	4	1	2	15—12	9
„მეტალურგი" (რუსთავი)	8	3	3	2	13—10	9
„ქართლი" (გორი)	7	4	1	2	11—9	9
„ირისტონი" (ცხინვალი)	8	3	2	3	10—8	8
„კოლმეურნე" (მარნეული)	8	3	2	3	15—13	8
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	9	3	1	5	11—8	7
„სამცხე" (აწყური)	8	2	3	3	11—14	7
„დურუჯი" (ყვარელი)	7	2	1	4	8—9	5
„კახეთი" (ველისციხე)	9	2	0	7	8—22	4

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	10	7	2	1	28—6	16
„აერო" (გალი)	9	6	1	2	18—8	13
„ცისკარა" (ბათუმი)	9	6	0	3	13—11	12
„სამგურალი" (წყალტუბო)	9	4	3	2	13—7	11
„სალხინო" (გეგეჭკორი)	9	5	0	4	17—12	10
„თოლია" (ფოთი)	8	4	0	4	11—10	8
„ფიხურა" (საჩხერე)	8	3	2	3	10—12	8
„სულორი" (ვანი)	8	2	3	3	12—17	7
„კოლხიდა" (ხობი)	7	2	2	3	7—8	6
„საირმე" (მაიაკოვსკი)	8	2	0	6	12—18	4
„დინამო" (სოხუმი)	8	1	2	5	10—22	4
„დინამო" (ქუთაისი)	8	1	1	6	5—19	3

ახალი ამბები

● რიგა. აქ დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, იაპონიის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და ჩინეთის ნაკრები გუნდები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები. დასკვნითი ტურის წინ სსრ კავშირის, გდრ-ისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდებს 7-7 ქულა ჰქონდათ. I ადგილის მოპოვებისთვის გერმანელებს ბოლო მატჩი ჩეხოსლოვაკიის გუნდთან უნდა მოეგოთ ანგარიშით 3:1. მათ ამ ამოცანას კარგად გაართვეს თავი და პირველობაც მოიპოვეს. II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ბოლო მატჩი მოუგო იაპონიის ფრენბურთელებს — 3:0. III ადგილზე არიან ჩინელები.

წყალბურთი

„ლოკომოტივი" წავა ხარკოვში

ვინ იქნება 6 უძლიერესი, რომელიც უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ხარკოვში განაგრძობს პაექრობას? რომელი 2 გუნდი დატოვებს „ა" კლასს? ამ კითხვებზე თბილისის ტურს უნდა გაეცა პასუხი.

ბოლოსწინა მატჩებამდე ცნობილი იყო, რომ ხუთ გუნდს განაღდებული ჰქონდა უძლიერეს ექვსეულში მოხვედრა. დარჩენილი ერთი ადგილისათვის კი სამ გუნდს — თბილისის „ლოკომოტივს", ტალინის „დინამოსა" და ტაშკენტის „მეხნატს" — უნდა ებრძოლათ. სატურნირო ცხრილის ბოლოში „ყოფნა-არყოფნის" საკითხს ფრუნზეს „ისიკ-კული", ერევნის „ბურევესტნიკი", კაუნასის „ჟალგირისი" და აშხაბადის სკა წყვეტდნენ. ბოლოსწინა მატჩი „ისიკ-კულთან" ერევნელმა სპორტსმენებმა აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 4:2. ერთნაირი ანგარიშით (3:4) დამარცხდნენ აშხაბადის სკა — ტალინის „დინამოსთან" და კაუნასის „ჟალგირისი" — თბილისის „ლოკომოტივთან".

შეჯიბრების ბოლო დღისთვის საკითხი ასე იდგა: თუ ალმა-ათის „დინამო" მოუგებდა ტალინელ თანაკლუბელებს, თბილისელები ექვსეულში ხვდებოდნენ ბოლო შეხვედრის წაგების შემთხვევაშიც კი. ასეც მოხდა: ესტონელები დამარცხდნენ (1:2), თბილისელებმა კი ფრედ (3:3) ითამაშეს ძლიერ მეტოქესთან — სევასტოპოლელ მეზღვაურებთან. მართალია, ამ მატჩს არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ მეზღვაურებთან აღებულ ქულას დიდი ფასი დაედება ხარკოვის ტურში.

როცა ცხრილში უძლიერესთა საკითხი გაირკვა, ყურადღება ისევ აუტსაიდერებზე გადავიდა. ერევნის „ბურევესტნიკს" მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს ტაშკენტის „მეხნატთან". ამის მიღწევა კი ძნელი საქმე იყო.

სომეხმა სპორტსმენებმა მატჩი დიდი მონდომებით ჩაატარეს. ანგარიშიც ბოლო წუთამდე მათ სასარგებლოდ იყო — 3:1. და სწორედ დარჩენილ დროში ერევნელთა კარში 2 ბურთი გავიდა. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3. მაგრამ როცა აშხაბადის სკა-მ წააგო კიეველ თანაკლუბელებთან (2:3), ხოლო „ჟალგირისმა" და „ისიკ-კულმა" ფრედ ითამაშეს (3:3), გამოირკვა, რომ „ა" კლასს ფრუნზელები და აშხაბადელები ტოვებენ.

გათამაშების ლიდერმა, მოსკოვის ოლქის „ტრუდმა" ამ დღეს პირველი დამარცხება განიცადა ლენინგრადის „სპარტაკთან" — 0:2.

ასე დასრულდა თბილისის ტური. ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) — 20 ქულა. 2-3. კიევის სკა და ლენინგრადის „სპარტაკი" — 17-17, 4. ალმა-ათის „დინამო" — 16, 5. შავი ზღვის ფლოტის სპორტკლუბი (სევასტოპოლი) — 15, 6. თბილისის „ლოკომოტივი" — 13, 7. ტალინის „დინამო" — 10, 8. ტაშკენტის „მეხნატი" — 9, 9-10. კაუნასის „ჟალგირისი" და ერევნის „ბურევესტნიკი" — 5,5, 11. აშხაბადის სკა — 4, 12. ფრუნზეს „ისიკ-კული" — 1 ქულა.

თ. ბაჩეჩილაძე.



▲ **კიოლნი.** მძლეოსანთა აქ გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონები სიგრძეზე ხტომაში — რომის თამაშებში გამარჯვებული რ. ბოსტონი (აშშ) და ტოკიოს ოქროს მედლის მფლობელი, ინგლისელი მძლეოსანი ქალი მ. ბიგნელ-რენდი. ბოსტონი გადახტა 8 მეტრზე, ხოლო რენდი — 6,20 მეტრზე. პოლონელმა ა. ბადენსკიმ ევროპაში საუკეთესო დრო აჩვენა 400 მეტრზე რბენაში — 46,1.

▲ **ოსლო.** „ბიშლეტის" სტადიონზე მოეწყო მძლეოსანთა ასპარეზობა. ავსტრალიელი რ. კლარკი ცდილობდა მ. ჟაზის (საფრანგეთი) რეკორდის გაუმჯობესებას 3000 მეტრზე რბენაში, მაგრამ ამაოდ. ავსტრალიელმა აჩვენა „მხოლოდ" 7 წუთი და 54,6 წამი.

▲ **ნიუ-იორკი.** პატარა ქალაქ კოლუმბუსის (ოჰაიოს შტატი) სტადიონზე გაიმართა შეერთებული შტატების მძლეოსან ქალთა პირველობა. ეს შეჯიბრება ერთდროულად შესარჩევი ასპარეზობაც იყო სსრ კავშირ — აშშ-ის მატჩისთვის. თავი გამოიჩინა 15 წლის მოსწავლე მ. მიულდერმა, რომელმაც ორ დისტანციაზე ასპარეზობაში გაიმარჯვა: 880 იარდზე რბენაში მისი შედეგია 2.11,1, 1500 მეტრზე კი — 4.36,5. ლ. გრეჰემმა ყველას აჯობა ბირთვის კვრასა (14,50) და ბადროს ტყორცნაში (48,08). ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ვ. ტაიესმა და ე. მაკ-გუაირმა მოიგეს „თავიანთი" დისტანციები: პირველმა 100 იარდი გაირბინა 10,5 წამში, ხოლო მეორემ — 220 იარდი — 23,6 წამი. სიგრძეზე მხტომელთა შორის უძლიერესი იყო ვ. უაიტი — 623 სმ, სიმაღლეზე ხტომაში — ე. მონტგომერი — 170 სმ. მწვრთნელებმა უკვე დაასახელეს ნაკრების შემადგენლობა. სპრინტერულ დისტანციებზე გამოვლენ: ვ. ტაიესი, ე. მაკ-გუაირი, დ. ვილსონი, დ. ტომსონი; 400 მეტრზე რბენაში — ჯ. სმიტი და ნ. პარისი, 800 მეტრზე — მ. მილდერი და ს. ნოტი; თარჯრბენში — მ. რალინსი და დ. პეშელი; ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში — ლ. გრეჰემი და ც. უაიტი; შუბის ტყორცნაში — რ. ბეიერი და ლ. ჰამილტონი; სიგრძეზე ხტომაში — ვ. უაიტი და ს. ჰასი, სიმაღლეზე ხტომაში — ე. მონტგომერი და ე. ბასკერვილი.

▲ **რიო-დე-ჟანეირო.** ადგილობრივი „ვასკო-და-გამასა" და პორტუგალიის „ბენფიკას" ფეხბურთელთა ამხანაგურ მატჩს 80 ათასი მაყურებელი დაესწრო. 90-წუთიანმა ბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა. შეხვედრის ანგარიშია — 1:1.

▲ **ბელგრადი.** იუგოსლავიაში სტუმრად მყოფმა მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდმა ანგარიშით 6:3 დაამარცხა ქალაქ კოტორას „პრიმორცა".

საზღვარგარეთის ამბები

მოკრივის სიკვდილი

„კაცს ეგონება, რომ ეს საცოდავი საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა!" — თქვა ფილადელფიის ნეიროქირურგმა რობერტ ანდრემ წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ, რომელმაც სიკვდილისაგან ვერ იხსნა პაციენტი. ამ უკანასკნელს სისხლი ჩაექცა ტვინში. მაგრამ ეს პაციენტი საავტომობილო კატასტროფაში არ მოხვედრილა. ლუსიენ ბენკსმა, მძიმე წონის მოკრივემ, ნოკაუტი მიიღო რინგზე მეორე პროფესიონალთან — ლეოტის მარტინთან შეხვედრაში. 24 წლის ბენკსი ბრძოლის შემდეგ მოვიდა გონს, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. 27 ჩატარებულ ბრძოლაში ბენკსი 4-ჯერ იყო ნოკაუტში. უკანასკნელი კი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა...

●

ვემზადები რევანშისათვის

ცნობილი ნორვეგიელი შუბის მტყორცნელი, მსოფლიო რეკორდსმენი ტერიე პედერსენი ტოკიოს ოლიმპიადის წინ ერთ-ერთ ძირითად ფავორიტად ითვლებოდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ნორვეგიელმა დამარცხება განიცადა. ამას წინათ პედერსენმა ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს, მოუთხრო მათ თავის წარუმატებლობაზე ტოკიოში და მომავლის გეგმები გაანდო.

„ოლიმპიურ თამაშებზე განცდილი მარცხი ჩემთვის ნამდვილი მოულოდნელობა იყო, — განაცხადა მსოფლიო რეკორდსმენმა. — მაგრამ წაგებამ დადებითი როლიც შეასრულა. მე გავაანალიზე ჩემი ნაკლოვანებანი და დავრწმუნდი, თუ რამდენად უსწოროდ იყო შედგენილი ჩემი წინანდელი საწვრთნელი გეგმა. ამჟამად რევანშისათვის ვემზადები. მე მხოლოდ ახლა ვიწყებ სპორტულ კარიერას და ყველაფერს გავაკეთებ, რათა გულშემატკივრებს დავავიწყო ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მათზე ტოკიოში მოვახდინე.

ამჟამად ჩინებული სპორტული ფორმის მიღწევა შევძელი. მოგიყვებით ერთ დეტალს. თუმცა მე შუბის მტყორცნელი ვარ, მაგრამ ვარჯიშზე, ჩვეულებრივ, 4-კილოგრამიანი ბირთვითაც ვმუშაობ. 1963 წლის გაზაფხულზე ამ ბირთვს 24 მეტრზე ვკრავდი, ხოლო ზაფხულის სეზონში შუბის ტყორცნა 83 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე შევძელი. 1964 წელს ბირთვს ვკრავდი 26 მეტრზე, ხოლო შუბს ვტყორცნიდი 91 მეტრსა და 72 სანტიმეტრზე. მიმდინარე წელს ვარჯიშებზე იოლად ვკრავ ბირთვს 27,5 მეტრზე. იმედი მაქვს, რომ შუბის ტყორცნაში ჩემი შედეგები შესაბამისად გაუმჯობესდება. ბირთვით მუშაობა, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო ფასდაუდებელი ვარჯიშია შუბის ყოველი მტყორცნელისათვის. იგი კუნთებს ელასტიურობასა და ძალას სძენს.

მიმდინარე წელს მინდა მონაწილეობა მივიღო ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მოუთმენლად ველი სსრ კავშირში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში გამგზავრებას. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ეს ქვეყნები დიდად განვითარებული სპორტული სახელმწიფოებია; სოციალისტურ ქვეყნებში ბევრი კარგი მეგობარი მყავს, რომლებთანაც სხვადასხვა საზღვარგარეთული ტურნირის დროს დავვახლოვდი და ახლა მიმოწერაც მაქვს. ჩემი აზრით, აღმოსავლეთის ათლეტებთან მჭიდრო კავშირს ძრთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემი პატარა ქვეყნის სპორტსმენებისათვის."

●

სასწაულით გადარჩა

საათში 160 კილომეტრით მქროლავი მანქანა გვირაბიდან გამოიჭრა. გზატკეცილი აქ მკვეთრად უხვევს მონტე-კარლოს ნავსაყუდელის თავზე. „ლოტუს-33" მარკის მანქანამ დაკარგა მართვა, გაამსხვრია ჯებირი და გრძელი ნახტომით ჩაეშვა ზღვაში, ღუზაზე მდგომ იალქნიან ნავებს შორის. გაოგნებულმა მძღოლმა რაღაც სასწაულით შეძლო ჩაძირული მანქანიდან ამოსვლა და წყლის ზედაპირზე გაჩერება, სანამ იგი გვერდით ჩავლილმა ნავმა არ აიყვანა.

ეს შემთხვევა მოხდა პროფესიონალ მოტომრბოლელებს შორის გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის — „მონაკოს დიდი პრიზის" გათამაშების დროს. რბოლაში გაიმარჯვა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, ინგლისელმა გრეჰემ ჰილმა, რომელმაც 3145 კილომეტრი ასეთი შეჯიბრებებისათვის სარეკორდო საშუალო სისწრაფით — საათში 119 კილომეტრითა დ 637 მეტრით გაიარა.

შვიდწლიანები — აუზებში

ამას წინათ კატოვიცეს გაზეთმა „სპორტმა" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის საუბარი ავსტრიელ მოცურავეთა ცნობილ მწვრთნელ ჯონ ბლიუმფელდთან, რომელიც პოლონეთში სტუმრად იმყოფებოდა.

— აშშ-ში და ავსტრალიაში ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა საწვრთნელი მეცადინეობის შერწყმას მეცნიერულ მეთოდებთან და ფიზიოლოგიის სფეროში მიღწეულ უახლეს აღმოჩენებთან, — თქვა ჯონ ბლიუმფელდმა. — ამ მიმდინარეობის სისწორეს მჭევრმეტყველურად ადასტურებს შედეგები, რომლებსაც ამერიკელებმა და ავსტრალიელებმა მიაღწიეს. ევროპაში ამ მეთოდებმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ფართო გამოყენება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ჰოლანდია.

კორესპონდენტის კითხვაზე, აქვთ თუ არა ევროპის ქვეყნებს შანსები დაეწიონ ამერიკელ მოცურავეებს, ბლიუმფელდმა დადებითად უპასუხა. მაგრამ, მან დასძინა, რომ ეს დამოკიდებულია სამი პირობის შესრულებაზე: 1. მეცნიერული წვრთნის გამოყენებაზე. 2. წვრთნის დაწყებაზე შვიდი წლის და არა 11-12 წლის ასაკიდან და 3. იმაზე, რომ მწვრთნელებს შეექმნათ კარგი სამუშაო პირობები.

ბლიუმფელდმა უპასუხა კიდევ რამდენიმე კითხვაზე.

— რა დროა საჭირო იმისათვის, რომ საშუალო მონაცემების მქონე გოგონასაგან ან ბიჭუნასაგან კარგი სპორტსმენი დადგეს?

— კარგი მოცურავის მოსამზადებლად საჭიროა 7-8 წელი.

— რამდენი კილომეტრი უნდა გაცუროს სპორტსმენმა ყოველდღიურ წვრთნისას?

— ჩემი აზრით, ზამთრობით ყოველდღიურად 2,5-3 კმ, ხოლო ზაფხულობით დაახლოებით 5 კმ. რა თქმა უნდა, წვრთნა ინტენსიური უნდა იყოს.

— რა შედეგებს უნდა ველოდეთ მექსიკის ოლიმპიადისაგან?

— მოკლე დისტანციაზე შესაძლოა ჩინებული შედეგების მოწმენი გავხდეთ, ხოლო გრძელ დისტანციებზე — არც თუ ისე ბრწყინვალე შედეგებისა, რადგან მეხიკო მაინც ერთობ დიდ სიმაღლეზე მდებარეობს.

ყველა მეტოქე ცნობილია

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მორიგ გათამაშებაში კიევის „დინამო" ორ მატჩში შეხვდება ჩრდილოეთ ირლანდიის „კოლრეინს".

ცნობილი გახდა I წრის დანარჩენი 14 წყვილიც. ესენი არიან: „აუფბაუ" (გდრ) — „სპორა" (ლუქსემბურგი), „რეიკიავიკი" (ისლანდია) — „როზენბორგი" (ნორვეგია), კვიპროსის გუნდი — საბერძნეთის გუნდი (ამ ქვეყნებში სათასო ტურნირები ჯერ არ დამთავრებულა), „ატლეტიკო-მადრიდი" (ესპანეთი) — „დინამო" (იუგოსლავია), „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) — „სტად რენი" (საფრანგეთი), „ბორუსია" (გფრ) — „ფლორიანა" (მალტა), „სიონი" (შვეიცარია) — „გალათასარაი" (თურქეთი), „ვინერ-ნოიშტადტი" (ავსტრია) — რუმინეთის გუნდი, „ლაჰდენ რეიპასი" (ფინეთი) — „ჰონვედი" (უნგრეთი), „კარდიფ სიტი" (უელსი) — „სტანდარდი" (ბელგია), „დევენტერი" (ჰოლანდია) — „გლაზგო სელტიკი" (შოტლანდია), „სეტუბალი" (პორტუგალია) — „აარჰუსი (დანია), „იუვენტუსი" (იტალია) — „ლივერპული" (ინგლისი), „ლიმერიკი" (ირლანდია) — ბულგარეთის გუნდი.

პოლონეთის გუნდს ბედმა გაუღიმა: იგი პირველი წრის მატჩებიდან ისევე თავისუფალია, როგორც თასის მფლობელი — „ვესტ ჰემი" (ინგლისი).

• • •

სურათზე: კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი — ჩვენი ქვეყნის პირველი „ელჩი" ამ დიდ ასპარეზობაში. მარჯვნიდან მარცხნივ — გუნდის კაპიტანი ბიბა, ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, ოსტროვსკი, საბო, ბაზილევიჩი, ხმელნიცკი, ლევჩენკო, მედვიდი, პუზაჩი, ტურიანჩიკი.

ფოტო ნ. სელიუჩენკოსი (საკდესი).

მაღალი შედეგები

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ტარდება მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებები, რომლებზეც ფავორიტები საერთაშორისო კლასის შედეგებს აჩვენებენ. ოსლოში წარმატება ხვდა წილად პოლონელ მძლეოსანს სიდლოს, რომელმაც შუბი 83 მ 66 სმ-ზე ტყორცნა. მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოს რეკორდსმენმა ნორვეგიელმა პედერსენმა (79 მ 64 სმ).

დუბლინში გამართულ შეჯიბრებაზე კონკურენციის გარეშე იყო პოლონელი მძლეოსანი ქალი კირშენშტეინი, რომელმაც 220 იარდზე რბენაში ევროპის რეკორდი გაიმეორა — 23,6.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

МЕЖДУНАРОДНЫЙ МАСТЕР
М. ЛАЗАРЕВИЧ
ПЕРВЫЙ РАЗРЯД
Р. КАЗЬМИНА

ბრიანსკი, სტარტი და მილუნკა

ბრიანსკში სპორტულად საინტერესოდ მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს 12 ცნობილი მოჭადრაკე. დიდ ინტერესს იწვევს გამოჩენილი იუგოსლაველი ოსტატის მილუნკა ლაზარევიჩის თამაში. მაგრამ მილუნკამ ცუდად აიღო სტარტი: პირველ ოთხ ტურში ორჯერ წააგო (ნიკოლაუსთან და რანიკუსთან). ამიტომაც მას ჯერჯერობით ლიდერებში ვერ ვხედავთ. წარუმატებლად ითამაშა იუგოსლაველმა VI ტურშიც. მან მორიგი დამარცხება განიცადა კოზლოვსკაიასთან. ამ ტურში ნიკოლაუმ (რუმინეთი) დაამარცხა კაზმინა, ხოლო კარაკაშნემ (უნგრეთი) — ფილანოვსკაია. 6 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ლიდერობს ნიკოლაუ. მას აქვს 5 ქულა. კოზლოვსკაიას და ბულგარელ ასენოვას 4-4 ქულა აქვთ.

• • •

სურათზე: მ. ლაზარევიჩი ეთამაშება ჩელიაბინსკელ რ. კაზმინას.

ფოტო ი. რაბინოვიჩისა (საკდესი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, ხამდივნო — 8-95-30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00710